

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი



საჰაერო ტრანსპორტის ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის
ფაკულტეტი

ტურიზმი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

თბილისი
2015
საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება	ტურიზმი
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ტურიზმის სპეციალობით
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 240 კრედიტის დაგროვებას. 1კრედიტი = 28 ასტრონომიულ საათს. კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. ერთი სასწავლო წელი შედგება ორი, შემოდგომისა და გაზაფხულის, სემესტრისგან და მოიცავს 40 სასწავლო კვირას. თითოეული სემესტრი შედგება 20 სასწავლო კვირისგან. საბაკალავრო პროგრამით სწავლის სტანდარტული ხანგრძლივობაა 8 სემესტრი. საბაკალავრო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ, აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით, სწავლა განაგრძოს არა უმეტეს 3 დამატებითი სემესტრის განმავლობაში.
ხელმძღვანელი	საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის პროფესორი კობა არაბული

I. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

დარგის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე ახალი სასწავლო პროგრამა მიზნად ისახავს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის ჩამოყალიბებას ტურიზმის მენეჯმენტის, ტურისტული ბაზრის სეგმენტაციისა და მარკეტინგული კვლევის მიმართულებით.

ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის განვითარებისა და კაპიტალის მოზიდვის ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგია. ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტისთვის იმ ცოდნის მიცემას, რომელიც აუცილებელია ტურიზმის ინდუსტრიის შესწავლისთვის და ეროვნული ტურიზმის საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტული ადგილის დამკვიდრებისთვის.

პროგრამის მიზანს წარმოადგენს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს ტურიზმის სფეროში (ტურისტულ ფირმებში, სააგენტოებში, საინფორმაციო და სარეკლამო ცენტრებში, საექსკურსიო ობიექტებში, ავიაკომპანიებში) ბიზნეს-პროცესების ეფექტურ ადმინისტრირებას, სფეროში არსებული პრობლემების გადასაჭრელად დამახასიათებელი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდების გამოყენებას; და რომელსაც შესწავლილი აქვს მმართველობითი საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, აქვს პროფესიული კარიერისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები. ბიზნესის

ადმინისტრირების პროგრამა ტურიზმის სფეროში უზრუნველყოფს მენეჯერებისა და ადმინისტრაციული ფუნქციით დაკავებული ადამიანების აკადემიურ განათლებას, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში მართავენ ტურიზმის ინდუსტრიის ორგანიზაციებსა და საწარმოებს.

საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოში განსაზღვრული ბაკალავრის კომპეტენციებისა და 'ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში' დასაქმების ბაზრის მოთხოვნებზე. საბაკალავრო პროგრამით ბაკალავრის მომზადება მიმდინარეობს ძირითადი და დამხმარე სასწავლო კომპონენტების მეშვეობით. ძირითადი ცოდნის საკითხებს მოიცავს ბიზნესის ადმინისტრირებასთან და ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები, აგრეთვე სავალდებულო პრაქტიკა. დამხმარე ცოდნის საკითხებს მოიცავს ბაკალავრის საქმიანობის ხელშემწყობი საუნივერსიტეტო (სავალდებულო და არჩევითი) სასწავლო კურსები და ინგლისური ენის სავალდებულო კომპონენტი. საბაკალავრო პროგრამის კომპონენტები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და სწავლის შედეგად ბაკალავრის კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა და ევოლუცია განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, მის სტრუქტურას და აისახება სასწავლო გეგმაში.

II. დაშვების წინაპირობა

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „ტურიზმის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე პირს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე. პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვება ასევე შესაძლებელია მობილობის ან შიდა მობილობის გზით საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდამარეგულირებელი წესების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

III. სწავლის შედეგები

კომპეტენციები	ზოგადი კომპეტენციები
ცოდნა და გაცნობიერება	<p>ბაკალავრმა იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ეკონომიკური და სოციალური სფეროების ძირითადი თეორიები და კონცეფციები; • ტურიზმის გეოგრაფია, საერთაშორისო ტურისტული ინდუსტრიის ინფრასტრუქტურა, რეკრიაციული ზონები და საკურორტო სისტემა;

	<ul style="list-style-type: none"> • ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში ტურიზმის, როგორც პრიორიტეტული დარგის, ეკონომიკური ინტეგრაციისა და გლობალიზაციის ფაქტორის ადგილისა და როლის მნიშვნელობა; • ტურიზმის ბიზნესის მენეჯმენტის წარმართვის ფორმები, მეთოდები და ძირითად ტენდენციები; • ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების - ზოგადი მენეჯმენტი, მარკეტინგი, კადრების მართვა, ფინანსური აღრიცხვა, მართვის საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიები საფუძვლები, ტურიზმის, როგორც ბიზნესის - მენეჯმენტი, მარკეტინგი, დაგეგმვისა და მონიტორინგის, ოპერეტივინგის საფუძვლები და აცნობიერებს მათ ურთიერთკავშირს; • ტურიზმის, მარკეტინგის, ადამიანური რესურსების მართვის, საფინანსო-საინვესტიციო, საინფორმაციო სისტემებისა და ბიზნესის სხვა სფეროების ფუნდამენტური პრინციპები; <p>ბაკალავრი ერკვევა:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის არსსა და მნიშვნელობაში, თანამედროვე მსოფლიოს გლობალურ სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენებში, ტურიზმის მსოფლიო ინდუსტრიის ეკონომიკურ მაჩვენებლებში, ტურიზმის პერსპექტივებში; საერთაშორისო ტურიზმის ორგანიზაციულ ასპექტებში; • ტურიზმის სფეროში ბიზნეს-გეგმების შედგენისა და განხორციელების თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებში; • ტურისტული მარშრუტების დაგეგმვის ტექნოლოგიებსა და ტურისტული სერვისის დაჯავშნის სისტემაში; • იცნობს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პოლიტიკას;
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება / პრაქტიკული უნარები</p>	<p>ბაკალავრმა უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • სათანადო მეთოდების გამოყენებით ბიზნესის ადმინისტრირების და ტურიზმის სფეროში მონაცემების და ინფორმაციის

	<p>შეგროვება- შეფასება და პრობლემების გადაჭრა;</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიზნეს-გარემოს გათვალისწინებით ტურისტული ორგანიზაციის საქმიანობის დაგეგმვა; • საწარმოებში ფინანსური ინფორმაციის ანალიზი, სინთეზი, ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის მონაცემების გამოყენება და ბიუჯეტის მომზადება, ანგარიშგების მომზადება და წარდგენა; • მიზნის დასახვა; მიზნების, ამოცანებისა და შედეგებს შორის ურთიერთკავშირის დადგენა; შესაბამისი შრომითი, მატერიალური და ინტელექტუალური რესურსების განსაზღვრა და მართვა; • თვითღირებულების კალკულაცია ხარჯვითი მუხლების მიხედვით და სისტემების დანერგვით გამოწვეული ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრა; • საქმიანობათა მონიტორინგი და შეფასება; • ეკონომიკური მოვლენების ანალიზი მიკრო და მაკრო დონეზე • საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული ზონების, საკურორტო სისტემის პოტენციალის კვლევა, მიღებული შედეგების შეჯერებითა და სინთეზით მიღებული ინფორმაციის ანალიზში მონაწილეობის მიღება; • პრაქტიკული დაკვირვებების საფუძველზე ორგანიზაციათა კონკურენტუნარიანობის გაზრდა ბაზარზე; • ტურიზმის სფეროში მოქმედ ფაქტორებზე დაკვირვების საფუძველზე რისკების გამოვლენა; • ტურიზმის სფეროში სტრატეგიულ აზროვნება და ბიზნესის გრძელვადიანი დაგეგმარება.
დასკვნის გაკეთების უნარი:	<p>ბაკალავრს უნდა შეეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ელექტრონულ დოკუმენტებთან, ელექტრონულ ცხრილებთან, მონაცემთა ბაზებში მუშაობა, მათი გაანალიზება და სათანადო დასკვნების გაკეთება; • ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე

	<p>გადახდისუნარიანობისა და ფინანსური მდგრადობის, ასევე ფულადი ნაკადების მოძრაობის ანალიზი;</p> <ul style="list-style-type: none"> • ახალი და განყენებული მონაცემების და სიტუაციების დამოუკიდებელი ანალიზი ტურიზმის ბიზნესის სფეროსთვის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით; • ალტერნატიული ტურისტული გზების განსაზღვრა და მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთება და დაცვა; • მიღებული ცოდნის ანალიზი.
<p>კომუნიკაციის უნარი:</p>	<p>ბაკალავრი შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემას ქართულ და უცხოურ ენებზე; • ინგლისურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემას, წერილობით მომზადებას, ასევე ზეპირად წარდგენას (პრეზენტაციას); • მონაწილეობის მიღებას დისკუსიაში შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან; <ul style="list-style-type: none"> • ეკონომიკური ლიტერატურიდან, ინტერნეტიდან, საერთაშორისო საკანონმდებლო აქტებიდან და სხვა წყაროებიდან შესაბამისი ინფორმაციის მოძიებასა და სარგებლობას; • თავისუფალ კომუნიკაციას ტურიზმის სფეროში მიმდინარე პროცესებსა და პრობლემებზე, როგორც დარგის სპეციალისტებთან, ასევე სხვა დაინტერესებულ პირებთან;
<p>სწავლის უნარი:</p>	<ul style="list-style-type: none"> • ბაკალავრს მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია დაგეგმოს პირადი კარიერა და სრულიად დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება გააგრძელოს სწავლა უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე; • შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად კრიტიკული და მრავალმხრივი შეფასება.

	<ul style="list-style-type: none"> • ტურიზმის სფეროში ლიტერატურასთან, წყაროებთან და ინტერნეტ რესურსებთან მუშაობა კარიერული ზრდის უზრუნველყოფის მიზნით; • ტურისტული სერვისის სფეროში ახალი ინფორმაციის მოძიებას, მონაცემების ინტერპრეტაციას, დამუშავებას, კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირებას და დიაგნოსტიკას.
<p>ღირებულებები:</p>	<ul style="list-style-type: none"> • იცის ბიზნესის წარმოების სამართლიანი ხერხები, ბიზნესში ქცევის ეთიკური ნორმები და მორალური პრონციპები; • ტურიზმის სფეროში სწორი სტრატეგიისა და პოლიტიკის გამომუშავება; • ათვისებენ ტურიზმის ადმინისტრირების დარგის ღირებულებებს. კერძოდ, იმ ცოდნასა და პრაქტიკულ-ლიდერულ უნარებს, რაც მას წარმოაჩენს, როგორც სანდო და დასაყრდენ სპეციალისტს, რათა იმუშაოს ტურისტულ კომპანიებში.

IV. დასაქმების სფერო

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შეძენილი ცოდნით კურსდამთავრებულებს შეეძლება წარმატებული მუშაობა

V. სასწავლო კურსების სწავლების ფორმა

პროგრამით გათვალისწინებული დისციპლინების შესწავლა ხორციელდება ლექციებზე, პრაქტიკულ მეცადინეობებზე, ლაბორატორიული მუშაობის დროს,

საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობისას. ამასთან სტუდენტის მიერ დამოუკიდებელი მეცადინეობის დროს უზრუნველყოფილია პროგრამის შესაბამისად საგნების შესწავლა.

სწავლების ფორმებია:

- **ლექცია** - სტუდენტებისადმი თანმიმდევრულად სასწავლო მასალის გადაცემა სილაბუსით განსაზღვრული თემების ახსნა-განმარტების გზით.
- **პრაქტიკული მეცადინეობა** - ჯგუფთან სალექციო მასალის შესაბამისი პრაქტიკული ამოცანების, ზეპირი და ტესტური სამუშაოების, პრეზენტაციების, დისკუსიებისა და სხვა სამუშაოების ფარგლებში გამოვლენილი ცოდნის და უნარ-ჩვევების შეფასება;
- **დამოუკიდებელი მეცადინეობა** - სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ლექციებზე და პრაქტიკულ მეცოდანეობებზე განხილული თემების ათვისება და შუალედური შემოწმებისა და დასკვნითი გამოცდებისათვის მომზადება.

VI. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლის პროცესის მაღალ დონეზე წარმართვის, სტუდენტთა აქტიურად ჩართულობის უზრუნველყოფისათვის გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები:

1. **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი** - გულისხმობს სალექციო მასალის გადაცემას სტუდენტისათვის ვერბალური გზით, რომლის დროსაც გამოიყენება კითხვა-პასუხის, ინტერაქტიური მუშაობის, პრაქტიკული სიტუაციის მოდელირების საფუძველზე თეორიული დებულებების ახსნის მეთოდები;
2. **დისკუსია/დებატები** - სტუდენტებს საშუალება ეძლევათ აქტიურად გამოხატონ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი აზრი, ინტენსიურად ჩაერთონ დისკუსიაში და განახორციელონ საკუთარი მოსაზრებების არგუმენტირებული დაცვა;
3. **წიგნზე მუშაობის მეთოდი** - დამოუკიდებლად მოცემული საკითხავი მასალის გაცნობა, დამუშავება და ანალიზი
4. **შემთხვევის ანალიზი (Case study)** - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომელთა მიხედვით ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლება საკითხი.
5. **ჯგუფური მუშაობა** - გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება, ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
6. **პრეზენტაცია** ითვალისწინებს ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას, რის გამოც სტუდენტები ვალდებული არიან მოიძიონ რელევანტური მასალები წინასწარ

მოცემულ საკითხებზე და წარმოადგინონ სლაიდ-შოუ. პრეზენტაციები შეუძლიათ წარმოადგინონ როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად.

7. საქმიანი (როლური) თამაშები - სხვადასხვა სიტუციებში, წინასწარ დადგენილი წესებით, მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების იმიტაციური მეთოდი (რეალურ ობიექტზე ექსპერიმენტების ჩატარების გარეშე მოვლენის შინაარსის გაცნობიერება) სიუჟეტურ-როლებიანი თამაშის ორგანიზაციის გზით. იგი სტუდენტებისათვის სინამდვილესთან მიახლოებულ სიტუაციაში ადეკვატური ქცევის ნორმების შეცნობის საშუალებაა, რომელიც აუცილებლად მოიცავს თამაშის მიზნის, დავალების, პირობების და წესების გაცნობას.

8. დემონსტრირების მეთოდი - ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

9. ახსნა-განმარტებითი მეთოდი - ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

10. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება - მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

11. წერითი მუშაობის მეთოდი - გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა და ა. შ.

12. გონებრივი იერიში (Brain storming) - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავდებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას.

13. სოკრატისეული მეთოდი - აღნიშნული მეთოდის მიხედვით სტუდენტები ვალდებული არიან, ლექციამდე წაიკითხონ და წინასწარ მოამზადონ ლექციისათვის გათვალისწინებული მითითებული მასალა, მოინიშნონ მათთვის საინტერესო საკითხები და პრობლემები, იფიქრონ ლექტორის მიერ შესაძლო კითხვებზე. ამ სტრატეგიის შედეგად ლექციას აღარ ექნება მონოლოგის სახე. ამის საპირისპიროდ თითოეული სტუდენტი აქტიურად იქნება ჩართული ლექციის

მსვლელობაში, ვალდებული იქნება პასუხი გასცეს ლექტორის მიერ დასმულ კითხვებს, გამოთქვას საკუთარი მოსაზრება და მოახდინოს მისი სამართლებრივი დასაბუთება. შედეგად, ძირითადი დრო ლექციისა დაეთმობა ანალიზს, არგუმენტაციას, აზრთა გაცვლას.

14. ინდუქციური მეთოდი სწავლის პროცესში დახმარებას უწევს აზრის მსვლელობას კერძოდან (კონკრეტულისაკენ) ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

15. დედუქციური მეთოდი ცოდნის გადაცემის ისეთი ხერხია, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის გამომჟღავნების ლოგიკური პროცესია, ანუ ზოგადიდან კონკრეტულისაკენ პროცესის მიმდინარეობის მართვაა.

16. ანალიზის მეთოდის გამოყენებით სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილება კონკრეტული შემთხვევები, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხის მანამდე უცნობ მხარეებს. ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, რაც ამარტივებს დასმული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალურ გაშუქებას.

17. სინთეზის მეთოდი - გულისხმობს ცალკეული საკითხების თავმოყრით მთლიანის შესახებ წარმოდგენის შექმნას. იგი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც „მთელი“ს დანახვის უნარის განვითარებას.

18. ევრისტიკული მეთოდი - ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანების ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

19. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებ სპრობლემას.

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოჩამოთვლილ ერთ, ან რამდენიმე მეთოდს. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

2.1. VII. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

3.1. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ქულა	შეფასება
მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი	A - „ფრიადი“
მაქსიმალური შეფასების 81-90%	B - „ძალიან კარგი“
მაქსიმალური შეფასების 71-80%	C - „კარგი“
მაქსიმალური შეფასების 61-70%	D - „დამაკმაყოფილებელი“
მაქსიმალური შეფასების 51-60%	E - „საკმარისი“

და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ქულა	შეფასება
მაქსიმალური შეფასების 41-50%	Fx - „ვერ ჩააბარა“
მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები	F - „ჩაიჭრა“

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100-ქულიანი სისტემით. მის მიერ გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- ა) შუალედურ შეფასებას - 60 ქულა (ერთი შუალედური შემოწმება და მიმდინარე შეფასება ან ორი შუალედური შემოწმება);
- ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას - 40 ქულა.

სტუდენტთა შეფასების სქემა, პერიოდულობა და კრიტერიუმები მოცემულია თითოეულ სილაბუსში.

სტუდენტის მიერ სასწავლო კურსით გათვალისწინებული კრედიტის ათვისებას ადასტურებს სილაბუსით დაგეგმილი სამუშაოების შესრულებაში მიღებული დადებითი შეფასება.

VIII. გამოცდები

დასკვნითი გამოცდა

- ა) დასკვნითი გამოცდა (წერიტი ფორმით) ტარდება სასწავლო პროცესის კალენდრით განსაზღვრულ ვადებში. დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები ლექტორის მიერ განისაზღვრება სილაბუსში;

ბ) დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების ჯამური ქულისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება არანაკლებ 51 ქულისა;

გ) დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულაა – 40;

დ) დასკვნით გამოცდაზე დადებით შეფასებად ითვლება 5 ქულა და მეტი;

ე) თუ სტუდენტმა შუალედური და დასკვნითი გამოცდის შედეგების შეჯამების საფუძველზე დააგროვა 41-50 ქულა, მაშინ მას ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ვ) თუ დასკვნითი გამოცდის და შუალედური შეფასებების ქულათა ჯამი შეადგენს 40 და ნაკლებს, სტუდენტი დამატებით გამოცდაზე არ დაიშვება და მის სემესტრულ შეფასებად ჩაითვლება “F” (ჩაიჭრა) შესაბამისი ქულით. სტუდენტს შეუძლია ხელახლა შეისწავლოს საგანი.

დამატებითი გამოცდა

ა) სტუდენტს უფლება აქვს დამატებით გამოცდაზე გავიდეს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდიდან არანაკლებ 10 დღის შემდეგ;

ბ) დამატებით გამოცდაზე დადებით შეფასებად ითვლება 5 და მეტი ქულა;

გ) დამატებით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტი შეფასდება 0 ქულით და მისი სემესტრული შეფასება იქნება „F” (ჩაიჭრა);

დ) დამატებით გამოცდაზე მიღებული უარყოფითი შეფასება ავტომატურად განსაზღვრავს სტუდენტის შესაბამის სემესტრულ შეფასებას - 0 ქულა - „F” (ჩაიჭრა);

ე) თუ შუალედური შეფასებებისა და დამატებითი გამოცდის ქულათა ჯამი შეადგენს „FX“- ს (ვერ ჩააბარა) ან „F“- ს (ჩაიჭრა) შესაბამის ქულებს, სტუდენტს შეუძლია ხელახლა შეისწავლოს სასწავლო კურსი..

IX. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა სემესტრების მიხედვით

1	სასწავლო კურსის დასახელება	2	4	საათები			სულ კრედიტები						
				6	8	9	I		II	IV			
							I	II	IV	VI	VII	VII I	
10	11	13	15	16	17	18							
საფაკულტეტო ზოგადი სავალდებულო კომპონენტები													
1	უმაღლესი მათემატიკის ელემენტები	წინაპირობის გარეშე	168	30/30/4	104	6						6	
2	აკადემიური წერის საფუძვლები	წინაპირობის გარეშე	84	15/15/4	50	3						3	
3	ბიზნეს ეთიკა	წინაპირობის გარეშე	84	15/15/4	50		3					3	
4	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები	წინაპირობის გარეშე	168	30/30/4	104		6					6	
5	კომპიუტერული უნარები	წინაპირობის გარეშე	84	0/30/4	50		3					3	
6	საგანგებო სიტუაციების მენეჯმენტი	წინაპირობის გარეშე	84	15/15/4	50				3			3	
9	სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციები და საჰაერო კანონმდებლობა	წინაპირობის გარეშე	84	15/15/4	50						3	3	
სულ საფაკულტეტო ძირითადი კომპონენტები			27	298	458	12	0	0	0	0	0	27	
საფაკულტეტო ზოგადი არჩევითი კომპონენტები													
7	თეოლოგია	წინაპირობის გარეშე	84	15/15/4	50	3						3	
8	ფილოსოფია	წინაპირობის გარეშე	84	15/15/4	50								
სულ საფაკულტეტო ზოგადი არჩევითი კომპონენტები			6	68	100	0	0	0	0	0	0	3	
სულ საფაკულტეტო			33	366	558	12	0	0	0	0	0	30	

უცხოური ენების მოდული												
10	ინგლისური ენა B1	წინაპირობის გარეშე	168	0/60/4	104	6						6
11	რუსული ენა 1	წინაპირობის გარეშე	168	0/60/4	104							
12	ინგლისური ენა B2	DEP.2.1.10	168	0/60/4	104		6					6
13	რუსული ენა 2	DEP.2.1.18	168	0/60/4	104							
14	პროფესიული ინგლისური ენა I	DEP.2.1.11	168	0/60/4	104							6
15	პროფესიული ინგლისური ენა II	DEP.4.1.27	168	0/60/4	104			6				6
სულ უცხოური ენები			36	384	624	6	6	6	0	0	24	
ძირითადი სპეციალობის კომპონენტები												
16	ტურიზმის საფუძვლები	წინაპირობის გარეშე	168	30/30/4	104	6						6
17	სოციალ-ეკონომიკური გეოგრაფია	წინაპირობის გარეშე	84	15/15/4	50	3						3
18	ფსიქოლოგია	წინაპირობის გარეშე	84	15/15/4	50	3						3
19	მსოფლიო ხელოვნების ისტორია	წინაპირობის გარეშე	168	15/15/4	134		6					6
20	ეკონომიკის პრონციპები 1 (მიკროეკონომიკა)	წინაპირობის გარეშე	168	28/32/4	104		6					6
21	ეკონომიკის პრონციპები 2 (მაკროეკონომიკა)	BUS.3.1.20	168	28/32/4	104							6
22	საქართველოს ისტორია	DEP.4.1.32	168	28/32/4	104							6
23	მენეჯმენტის საფუძვლები	BUS.1.1.5	168	28/32/4	104							6
24	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	BUS.3.1.20	168	30/30/4	104							6
25	მარკეტინგის საფუძვლები	BUS.3.1.20	168	28/32/4	104			6				6
26	ტურიზმის მენეჯმენტი	BUS.1.1.11	168	28/32/4	104			6				6
27	ტურიზმის დაგეგმვა	BUS.3.1.1	168	32/28/4	104			6				6
28	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	BUS.1.1.11	168	28/32/4	104			6				6
29	ტურიზმის მარკეტინგი	BUS.1.1.10	168	28/32/4	104							6

46	თავისუფალი კომპონენტები სტუდენტს შეუძლია აითვისოს უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან				6		15
სულ თავისუფალი კომპონენტები	0	0	0	9	0		15
ს ე ჯ	30	30	30	30	30		240

X.სწავლის შედეგების რუკა

სასწავლო კურსის დასახელება	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ი ა რ
უმაღლესი მათემატიკა		X	X		X	
აკადემიური წერის საფუძვლები	X	X	X	X	X	X
ბიზნესის ეთიკა	X	X		X		X
ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები	X	X	X	X	X	X
კომპიუტერული უნარები		X		X		
საგანგებო სიტუაციების მენეჯემენტი		X	X			X
თეოლოგია	X	X				X
ფილოსოფია	X	X	X	X		X
ფსიქოლოგია	X	X	X	X		X
სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციები და საჰაერო კანონმდებლობა	X		X			
ინგლისური ენა B1	X			X		
რუსული ენა I	X			X		
ინგლისური ენა B2	X			X		
რუსული ენა II	X			X		
პროფესიული ინგლისური ენა I	X			X		
პროფესიული ინგლისური ენა II	X			X		
ტურიზმის საფუძვლები	X				X	
სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია	X	X	X	X		X
მსოფლიო ხელოვნების ისტორია	X					X
ეკონომიკის პრონციპები 1 (მიკროეკონომიკა)	X	X	X	X	X	
ეკონომიკის პრონციპები 2 (მაკროეკონომიკა)	X	X	X	X	X	
საქართველოს ისტორია	X	X	X			X

მენეჯმენტის საფუძვლები	X	X		X		X
ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	X	X	X	X		
მარკეტინგის საფუძვლები	X	X	X			X
ტურიზმის მენეჯმენტი	X	X		X		
ტურიზმის დაგეგმვა	X	X		X		
ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	X	X	X	X		
ტურიზმის მარკეტინგი	X		X			
ტურიზმის ეკონომიკა	X		X			
საგადასახადო საქმე	X	X	X	X		
პრეზენტაციის და დისკუსიის ტექნიკა	X	X				
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა	X		X			
საქართველოს ტურისტული რეკრეაციული პოტენციალი	X		X	X		
ბიზნესის სამართალი	X	X	X			
კულტურული ტურიზმი	X	X				
ეკოტურიზმი	X		X			
საქართველოს ეთნოგრაფია (ტრადიციები, სამზარეულო)	X		X			X
საერთაშორისო ბიზნესი	X	X	X	X		
ორგანიზაციული ქცევა	X	X	X	X		X
ტუროპერეტივინგი	X	X	X			
ქვეყანათმცოდნეობა	X	X	X	X		
სასტუმრო მომსახურების ორგანიზაცია და მართვა	X	X	X	X		
PR და რეკლამა	X	X				
საბაკალავრო ნაშრომი	X	X	X	X	X	X

XI. ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტებს უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ: თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი აუდიტორიები, ლაბორატორიები, სამონტაჟო სახელოსნო, კომპიუტერული კლასები (ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა, სწავლების პროცესისთვის განკუთვნილი კომპიუტერული პროგრამები), ლინგვაფონის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, რომელიც დაკომპლექტებულია სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, ელექტრონული სახელმძღვანელოებითა და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით, კომპიუტერული ტექნიკით.

ადამიანური რესურსი

პროფესორ - მასწავლებლები		
N	სახელი გვარი	დაკავებული თანამდებობა
1	კობა არაბული	პროფესორი
2	ნინო თავაძე	პროფესორი
3	იური სუხიტაშვილი	პროფესორი
4	ნოდარი დუმბაძე	პროფესორი
5	გულნარა იმედაშვილი	პროფესორი
6	ქეთევან გიორგობიანი	ასოცირებული პროფესორი
7	ავთანდილაფხაიძე	ასოცირებული პროფესორი
8	ანა კურტანიძე	ასოცირებული პროფესორი
9	გიორგი ზაუტაშვილი	ასოცირებული პროფესორი
10	ნინო დარსაველიძე	ასოცირებული პროფესორი
11	ანა კურტანიძე	ასოცირებული პროფესორი
12	ნინო ხუჭუა	ასისტენტი
13	მანანა ქველაძე	მასწავლებელი
14	მახარე ბუკია	მასწავლებელი
15	მზია ედიბერიძე	მასწავლებელი
16	ნათია უერთაშვილი	მასწავლებელი

მოწვეული სპეციალისტები		
N	სახელი გვარი	დაკავებული თანამდებობა
1	ლალი ოქროცვარიძე	მოწვეული სპეციალისტი
2	სვეტლანა მოსაშვილი	მოწვეული სპეციალისტი
3	ალექსანდრე ჩხაიძე	მოწვეული სპეციალისტი
4	ია ბერიძე	მოწვეული სპეციალისტი
5	ნინო ცერცვაძე	მოწვეული სპეციალისტი
6	ნინო დიდიშვილი	მოწვეული სპეციალისტი
7	რუსუდან ნაჭყებია	მოწვეული სპეციალისტი
8	თეა ვეფხვაძე	მოწვეული სპეციალისტი
9	ალექსი ნონიაძე	მოწვეული სპეციალისტი
10	თამარ ღამბაშიძე	მოწვეული სპეციალისტი
11	ნინო გრიგოლაია	მოწვეული სპეციალისტი
12	გიორგი ხატიძე	მოწვეული სპეციალისტი

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
პროფესორი

კ. არაბული

